საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 07-01/26

ქ. ბათუმი **14 ივნისი, 2023 წელი,**

,,ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის N07-01/47 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–18 მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–10 მუხლის, ,,ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის N07-01/47 გადაწყვეტილების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2023 წლის 09 ივნისის MES 7 23 0000671102 სამსახურებრივი ბარათის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმის (14.06.2023, N07-02/07) და რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ,,ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის N07-01/47 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესის (N1 დანართის) **მე-4 მუხლში (,,სტუდენტის აკადემიური რეგისტრაცია და სასწავლო კურსის საფასური“) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის 2[1] პუნქტი:**

,,2[1]. პირველი სასწავლო წლის პირველ სემესტრში აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის გამო სტატუსშეჩერებული სტუდენტის (სავიზო პროცედურებთან დაკავშირებით შექმნილი დაბრკოლების ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო საუნივერსიტეტო სივრცეში გამოუცხადებლობა), რომელსაც სრულად გადახდილი აქვს პირველი სასწავლო წლის სწავლის საფასური, სასწავლო პროცესში ჩართვა (დაბრუნება) <u>შემოდგომის ან გაზაფხულის სემესტრიდან</u> დასაშვებია **შიდა მობილობის პროცედურების გარეშეც,** სტუდენტის დასაბუთებული განცხადებისა და ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე (თუკი შესაბამის სემესტრში დაგეგმილია/მიმდინარეობს პირველი სემესტრის სტუდენტებისათვის სწავლება და არ საჭიროებს დამატებით პერსონალის მოწვევას ან/და სხვა ხარჯების გაღებას).“.

2. წინამდებარე გადაწყვეტილება ითარგმნოს ინგლისურ ენაზე და უზრუნველყოფილი იქნეს ბსუ-ს ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის გაცნობა.

3. წინამდებარე გადაწყვეტილების გათვალისწინებით იურიდიული დეპარტამენტის მიერ მომზადდეს ,,ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესის“ კოდიფიცირებული ვერსია და მისი ინგლისურენოვანი თარგმანი გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში ,,საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“, ინგლისურენოვან ვებგვერდზე/,,სტუდენტის გზამკვლევი“).

4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, თარჯიმანს (ნანა მაზმიშვილი), სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და სასწავლო პროცესის დეპარტამენტს.

5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. N30) კანონმდებლობითი დადგენილ ვადაში და წესით.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **ჯ. კარალიძე**